საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სტუდენტური პროექტების შესარჩევი კონკურსის
საკონკურსო კომისიის
შემაჯამებელი
სხდომის ოქმი № 2

ქ. ბათუმი 25 იანვარი, 2019 წელი

სხდომას ესწრებიან:
საკონკურსო კომისიის წევრები:

1. მერაბ დიასამიძე-	სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი (კომისიის თავმჯდომარე);	
2. რეზო ოკუჯავა-	სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის, კულტურისა და სპორტის განყოფილების უფროსი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);	
3. თამარ მაჭუტაძე-	სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი (კომისიის მდივანი)	
4. ედიშერ ჩავლეიშვილი-	ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის უფროსი;	
5. ნინო ინაიშვილი-	მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;	
6. ციალა ქათამიძე-	აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;	

დღის წესრიგი:

ბსუ -ს *სტუდენტური სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული* სახის პროექტების გამოვლენის, განხილვისა და დაფინანსების მიზნით 2019 წლის იანვარში *ჩატარებული კონკურსის შედეგების შესახებ* შემაჯამებელი ოქმის დამტკიცება.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მოახსენა, რომ 2018 წელს წარმოდგენილი სამეცნიერო-კვლევითი პროექტებიდან გამოვლინდა ორი **გამარჯვებული პროექტი:**

1. „აჭარის ზოგიერთი ადვენტური მცენარის ბიოაქტიური ნაერთების შესწავლა და მათი გამოყენების პერსპექტივები“ - **პროექტის ავტორი მარიამ დოლიძე** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, პროექტის მეცნიერ ხელმძღვანელი პროფ. მაია ვანიძე, პროექტის ბიუჯეტი: 3000 ლარი.
2. **„ფუკოს ქანქარა“ - პროექტის ავტორი ანა სურმანიძე** - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი, ფიზიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, პროექტის მეცნიერ ხელმძღვანელები: ასოც. პროფ. ლალი კალანდაძე, პროფ. ნუგზარ ღომიძე, ასოც. პროფესორი იზოლდა ჯაბნიძე, პროექტის ბიუჯეტი: 1800 ლარი.

საგანმანათლებლო პროექტებიდან სამი გამარჯვებული პროექტი:

4. „ეკონომიკური დებატები - ბსუ 2019“ პროექტის ავტორი - ნესტან ვარშანიძე- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი, პროექტის ბიუჯეტი: 5000 ლარი.

5. „სტუდენტები განვითარებისათვის“ პროექტის ავტორი- დავით ბალაძე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი, პროექტის ბიუჯეტი: 4940 ლარი.

6. „ლიბერრუმი“ - პროექტის ავტორი- ბაჩუკი ფარტენაძე იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი. პროექტის ბიუჯეტი: 5000 ლარი.

კომისიამ ერთხმად დაადგინა: დამტკიცდეს წინამდებარე შემაჯამებელი ოქმი და კომისიის თავმჯდომარის მიერ კანცელარიული წესით წარედგინოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელსა და რექტორს.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე :

კომისიის მდივანი :